სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

72960122081726

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

ფიზიკური პირის მიერ მინდობილობის/რწმუნებულების დადასტურება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N261607495

რეგისტრაციის თარიღი

13.11.2026 წ

ნოტარიუსი: ალექსანდრე ჩალაური
მისამართი: ქ. თბილისი, ილია ვეკუას ქ, N23
ტელეფონი: 595053399 +995 32 2 111 775

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: **www.notary.ge** ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: **+995(32) 2 66 19 18**

საქართველო

სანოტარო აქტი

ორი ათას ოცდაექვსი წლის ცამეტ ნოემბერს, მე, **ნოტარიუს ალექსანდრე ჩალაურს,** რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: **ქ. თბილისი, ილია ვეკუას ქ, N23**, მომმართა მოქალაქე **ნანული გაჩეჩილაძემ (დაბ.:20.03.1967წ., დაბ. ადგ.:გორი, პ/ნ:59001060567, რეგ.მის.:გორი, ანდრია რაზმაძის ქუჩა, N 40),** რომელმაც განაცხადა, რომ სურს შეადგინოს მინდობილობა, რომელიც დასტურდება სანოტარო წესით. მე დავადგინე მოქალაქის ქმედუნარიანობა, რომლის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონია. მე დავადგინე მისი ნების გამოვლენის ნამდვილობა და დავადგინე პირადობა მის მიერ წარმოდგენილი მოქალაქის პირადობის მოწმობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე, ნამდვილად ზემოთხსენებულმა მოქალაქემ მომმართა. შემდეგ შევადგინე მინდობილობის პროექტი, რომელიც წავუკითხე და განვუმარტე მისი შინაარსი. მან წაიკითხა მინდობილობა და მკაფიოდ და ნათლად განაცხადა, რომ ტექსტი ზუსტად გამოხატავს მის ნებას და ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი შემდეგ მინდობილობას:

მინდობილობა

მე, **ნანული გაჩეჩილაძემ (დაბ.:20.03.1967წ., დაბ. ადგ.:გორი, პ/ნ:59001060567, რეგ.მის.:გორი, ანდრია რაზმაძის ქუჩა, N 40) - „მიმნდობი", მაია კახნიაშვილს (დაბ.:05.11.1982წ. პ/#59004000330) მინდობილ პირს" ვანიჭებ შემდეგ უფლებამოსილებას:**

მინდობილი პირი, იყოს ჩემი წარმომადგენელი ყველა საჯარო დაწესებულებაში, ყველა ადმინისტრაციულ ორგანოში, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, იუსტიციის სახლში, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში, მერიებში, გამგეობებში, საკრებულოებში, არქიტექტურის სამსახურში, ზედამხედველობის სამსახურში, ურბანულ სამსახურში, ქალაქის სატრანსპორტო კომპანიაში, საგზაო სამსახურში, კომისიებში, მუნიციპალურ ინსპექციაში, მათ ქვემდებარე დეპარტამენტებსა და სამსახურებში, სანოტარო ბიუროში, კომუნალური მომსახურების სამსახურებში, კომპანიებში, ნებისმიერ ფიზიკურ და იურიდიულ პირთან, რათა ჩემი სახელით წარადგინოს, გამოითხოვოს და მიიღოს ნებისმიერი განცხადება, ამონაწერი, დოკუმენტი, გადაწყვეტილება, პროექტი, გეგმა, ნახაზი, მოაგვაროს ყველა საკითხი ჩემს საკუთრებაში რეგისტრირებულ უძრავ ქონებაზე **(ს/კ:81.08.34.024)** ნებისმიერი სახის სამშენებლო, პირველი კლასის სამშენებლო, მეორე კლასის სამშენებლო, მესამე კლასის სამშენებლო, სარემონტო, სარეკონსტრუქციო, პირველი კლასის სარეკონსტრუქციო, მეორე კლასის სარეკონსტრუქციო და სხვა ნებისმიერი სახის სამუშაოების წარმოებისათვის, წარმოებული სამუშაოების ექსპლოატაციაში მიღებისათვის, განაშენიანების გეგმის დამტკიცებისათვის იქნება საჭირო, შეათანხმოს და მიიღოს შესაზამისი ნებართვები, გააგრძელოს აღნიშნული ნებართვების ვადა, პროექტები, უსკიზები, მიიღოს კოეფიციენტი, ატვირთოს პროექტები ან/და სხვა საჭირო დოკუმენტების ელექტრონული ვერსიები, მოაგვაროს ყველა საკითხი რაც აღნიშნული ნებართვების, პროექტების, ესკიზების დამტკიცებასთან, არსებულ პროექტებში, ნებართვებში, ესკიზებში ცვლილებების შეტანასთან იქნება დაკავშირებული, ჩემი სახელით გასცეს ნებისმიერი თანხმობა მშენებლობასთან დაკავშირებით. გაყოს, გამოყოს, გამოჯნოს, გაერთიანოს აღნიშნული ქონება, შეიტანოს ცვლილებები რეგისტრირებულ მონაცემებში. მინდობილობით გათვალისწინებული უფლებამოსილებათა განსახორციელებლად ჩემი სახელით წარადგინოს ნებისმიერი განცხადება, მოთხოვნა, წარადგინოს გამოითხოვოს და მიიღოს ყველა საჭირო ცნობა, მოწმობა, დოკუმენტი, ნახაზი, გეგმა, პროექტი, ნებართვა, დააზუსტოს ფართობი, შეიტანოს ცვლილებები რეგისტრირებულ მონაცემებში, პროექტებში, აწარმოოს ადმინისტრაციული წარმოება, რა დროსაც ისარგებლოს ჩემი როგორც მხარის ყველა უფლებით, გაასაჩივროს ზემოაღნიშნული დაწესებულებების მიღებული გადაწყვეტილებები, ხელი მოაწეროს საჭირო დოკუმენტებს, განცხადებებს, ნებართვებს, გადაიხადოს დადგენილი გადასახადები, ჯარიმები

მინდობილობა გაცემულია სამი წლის ვადით.

წინამდებარე მინდობილობა შედგენილია სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება **ნოტარიუს ალექსანდრე ჩალაურის** სანოტარო არქივში, ხოლო დანარჩენი გადაეცა მიმნდობს.

გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური **26.24 (ოცდაექვსი ლარი და ოცდაოთხი თეთრი) ლარი, აქედან: 18 (თვრამეტი) ლარი** („სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" 2011 წლის 29 დეკემბრის საქართველოს მთავრობის N507-ე დადგენილების მუხლი 31-ე მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად), და რეგისტრაციის საფასური **5(ხუთი) ლარი** (ამავე დადგენილების მუხლი 39-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად) და **დღგ 3.24 (სამი ლარი და ოცდაოთხი თეთრი)** ლარი თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლისა.

მიმნდობი .....

ნოტარიუსი ალექსანდრე ჩალაური .....